ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №35

18 ოქტომბერი, 2019 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
12:00 საათი

<u>სხდომას ესწრებოდნენ:</u>

1. თედო ისაკაძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. შალვა ოგბაიძე - კომისიის წევრი;
3. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
4. მიხეილ ამაშუკელი - კომისიის წევრი;
5. დავით რურუა - კომისიის წევრი;
6. ირაკლი ნადირაძე - კომისიის წევრი;
7. ლევან ხაბეიშვილი - საკრებულოს წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 9 თვის საქმიანობის ანგარიშის მოსმენა.

სხდომას თავმჯდომარეობდა თედო ისაკაძე.

მომხსენებელი:

- **მამუკა მუმლაძე** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი;

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

თ.ისაკაძე - დღის წესრიგით გათვალისწინებულია ერთი საკითხი, ბატონ მამუკას ვთხოვ წარმოგვიდგინოს ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 9 თვის ანგარიში.

მ. მუმლაძე - მოგესალმებით, მოხარული ვარ წარმოგიდგინოთ ჩვენი სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის ბოლო 9 თვის ანგარიში. დავიწყებ სატრანსპორტო პოლიტიკის პრიორიტეტებით, ესენია: საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება და მისი მოხმარების ზრდა, ასევე, კერძო ტრანსპორტის მოხმარების შემცირების სტიმულირება.

უმთავრესი პროექტები რაც განხორციელდა გასული 9 თვის განმავლობაში გახლავთ: ახალი ავტობუსების შესყიდვა, ზონალური პარკირების ამოქმედება, ტაქსით მომსახურების რეფორმის მე-2 ეტაპის განხორციელება.

<u>თბილისის მერიის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია ახალი ავტობუსების შესყიდვა და ყვითელი ავტობუსების სრული ჩანაცვლება.</u>

მოქალაქეთა მოთხოვნებიდან და მერიის პრიორიტეტებიდან გამომდინარე, მიმდინარეობს ავტობუსების პარკის სწრაფი ტემპებით განახლება. ყოველდღიურად თბილისს ემსახურება 560 ერთეული ავტობუსი, საიდანაც 395 ძველი ავტობუსია და - 165 ახალი.

2019 წელს თბილისის მერიის მიერ შესყიდულია: 90 ერთეული „მანის“ მარკის 10-მეტრიანი და 220 ერთეული „ისუზუს“ მარკის ავტობუსი. მათგან 50 ერთეული „მანისა“ და 60 ერთეული „ისუზუს“ მარკის ავტობუსი უკვე შპს „სატრანსპორტო კომპანიის“ ბალანსზეა. დანარჩენ 40 ერთეულ „მანის“ ავტობუსს თბილისი წლის ბოლოს მიიღებს, ხოლო „ისუზუს“ ავტობუსების მოწოდება დეკემბერის თვეში დასრულდება.

ამას გარდა, „იბიარდის“ მიერ გამოცხადებულია ტენდერი თბილისისთვის 12-მეტრიანი CNG (გაზის) ძრავზე მომუშავე ავტობუსების შესყიდვაზე. მიმდინარეობს მუშაობა კიდევ 90 ერთეული 12-მეტრიანი ავტობუსების შესაძენად.

მგზავრთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით მიმდინარე წელს ამოქმედდა ავტობუსების სამი მარშრუტი:

- ✓ N81 - კიკეთი-წყნეთი;
- ✓ N83 - მ. „დელისი“ -აბაშიძე-ბარნოვი-ჭონქაძის ქუჩები;
- ✓ მ. „დიდუბე“ – 112-ის შენობა - მ. „სახელწიფო უნივერსიტეტი“.

გარდა ამისა, მგზავრთა მომსახურების გასაუმჯობესებლად შესყიდულია ავტობუსის გაჩერებებზე მოსაცდელების მოწყობის საპროექტო დოკუმენტაცია.

ავტობუსის გაჩერებებზე მოეწყო 45 ცალი მგზავრთა მოსაცდელი, ასევე, უახლოეს დღეებში ექსპლუატაციაში შევა კიდევ 15 მოსაცდელი. წლის ბოლომდე დედაქალაქში სულ დამონტაჟდება 80 ახალი მოსაცდელი.

2019 წლის 9 თვეში საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით უფასო ან შეღავათიანი ტარიფით გადაყვანილია 85 799 707 მგზავრი, მათ შორის, მეტროპოლიტენით - 36 618 278 მგზავრი, ავტობუსით - 44 443 738 მგზავრი, ხოლო, მიკროავტობუსებში ელექტრონული აღმრიცხველი საშუალებების გამოყენებით, მგზავრობის ტარიფის 50%-ანი შეღავათით გადაყვანილია 6 633 588 მგზავრი.

რაც შეეხება ზონალურ-საათობრივ პარკირებას, უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის ცალკეულ ქუჩებში ზონალურ-საათობრივი პარკირების შემოღების მიზანია: პარკირების სისტემის სრულყოფა, პარკირების ადგილებზე ვიზიტორთათვის პარკინგის გამარტივება, ქუჩის მცხოვრებთა საპარკინგე ადგილებზე წვდომის გაუმჯობესება, ზონებში არსებულ ქუჩებზე სატრანსპორტო ნაკადების შემცირება.

<u>შემუშავებულია ზონალურ-საათობრივი პარკირების წესი.</u>

2019 წლის 1 აგვისტოდან ზონალურ-საათობრივი პარკირება ეტაპობრივად ამომედდა 4 ქუჩაზე (A ზონა):

1. კოტე აფხაზის ქუჩაზე შეიქმნა 111 ადგილი, მათ შორის 6 შშმ პირთათვის და 4 ტაქსისთვის;
2. აბანოს ქუჩაზე შეიქმნა 22 ადგილი, მათ შორის 2 შშმ პირთათვის და 5 ტაქსის უფასო;
3. გრიშაშვილის ქუჩაზე შეიქმნა 18 ადგილი;
4. ორბელიანის მოედანზე შეიქმნა 162 მიწისქვეშა ადგილი და 91 მიწისზედა, მათ შორის 3 შშმ პირთათვის და 2 ელექტრომობილებისთვის.

პარკირების საფასური A ზონაში საათში 1 ლარს შეადგენს, B ზონაში - 2 ლარს, ხოლო C ზონაში - 3 ლარს. ფასიანი პარკირების ზონაში ავტომანქანის გაჩერება უფასოა 100 მეტრის რადიუსში მცხოვრებთათვის, ელექტრომობილების მფლობელებისთვის, შშმ პირის საცნობი ნიშნის მქონე ავტომობილებისთვის, განსაზღვრულ ადგილებში ნებართვის მქონე ტაქსებისთვის.

რაც შეეხება ტაქსების სფეროში რეფორმას, დღეისათვის გაცემულია **9288 A** და **7568 B** კატეგორიის ნებართვა. სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს A კატეგორიის რიცხვის ზრდა.

1 ოქტომბრიდან A და B კატეგორიის ტაქსები უნდა იყოს 5-კარიანი, მოეთხოვებათ წელიწადში 2-ჯერ ტექინსპექტირება. ორივე მოთხოვნა აუმჯობესებს როგორც ტაქსისტების, ასევე მგზავრთა უსაფრთხოების ნორმებს.

ამჟამად მიმდინარეობს A კატეგორიის ტაქსებზე „TAXI თბილისი“ მანათობელი ნიშნების გაცემა, ხოლო, ნოემბრიდან მერიის ინიციატივით განახლდება ქიმწმენდის ვაუჩერების გაცემა.

ტაქსით მომსახურების ნებართვის აღების საფასურია: შიდაწვისძრავიანი ავტომობილებისთვის 100 ლარი, ჰიბრიდებისთვის 50 ლარი, ხოლო ელექტრომობილებისთვის - უფასოა.

A კატეგორია არის თეთრი ფერის, მხოლოდ მარცხენასაჭიანი. A კატეგორიის ტაქსს აქვს გამოკვეთილი უპირატესობები: უფლება აქვს მგზავრი აიყვანოს ქუჩაში, ატარებს მანათობელ ტაქსის ნიშანს „TAXI თბილისი“ (რომელსაც მერია უფასოდ გასცემს), შეუძლია ისარგებლოს უფასო პარკირების ადგილებით (გამოყოფილია უკვე 400-მდე ადგილი), შეუძლია ძარაზე განათავსოს რეკლამა და ამ ფორმით მიიღოს დამატებითი შემოსავალი.

B კატეგორია არ არის თეთრი ფერის. მას 2021 წლის 1 იანვრამდე არ მოეთხოვება იყოს მხოლოდ მარცხენასაჭიანი. B კატეგორიის ტაქსი მუშაობს გამოძახებით. B კატეგორია ვერ შეძლებს მგზავრის ქუჩიდან აყვანას, ტაქსის აღმნიშვენილი ნიშნის ტარებასა და ვერ ისარგებლებს ტაქსებისთვის გამოყოფილი უფასო მუნიციპალური პარკინგით.

<u>მგზავრთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, მერია რეფორმის მე-3 ეტაპზე მუშაობას დაიწყებს.</u>

რაც შეეხება მეტროსადგურებსა და ვაგონების განახლებას, მოგახსენებთ, რომ მეტროპოლიტენში აქტიურად მიმდინარეობს მეტროს სადგურებისა და ვაგონების რეაბილიტაციის პროცესი. დედაქალაქის მერია გეგმავს დამატებით 40 ვაგონის შეძენას. ამ ეტაპზე კაპიტალური შეკეთება-მოდერნიზაცია ჩაუტარდა 15 შუალედურ ვაგონს.

<u>აღსანიშნავია, რომ მიმდინარეობს ელექტროსადენებისა და დამატებითი მოწყობილობების გამოცვლა.</u>

2019 წლის ბოლომდე იგეგმება მეტროსადგურების „სადგურის მოედანი 1“ და „სადგურის მოედანი 2“, „გურამიშვილი“, „ვარკეთილი“, „მარჯანიშვილი“, „რუსთაველი“, „თავისუფლების მოედანი“, „ისანი“, „300 არაგველი“ კაპიტალური შეკეთებისათვის აუცილებელი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და კაპიტალური შეკეთების სამუშაოების შესყიდვა, ასევე, მეტროსადგურ „გოცირიძის“ კაპიტალური შეკეთების სამუშაოების შესყიდვა.

ამ ეტაპზე დასრულებულია მეტროსადგურების „გურამიშვილი“, „ვარკეთილი“ და „ავლაბარის“ რეაბილიტაციისა და კაპიტალური შეკეთების საპროექტო/სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისათვის აუცილებელი კვლევითი სამუშაოები, ასევე, გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური სამუშაოები.

უახლოეს დღეებში დაგეგმილია ხელშეკრულების გაფორმდება მეტროსადგურების „სადგურის მოედანი 1“, „სადგურის მოედანი 2“ და „სარაჯიშვილის“ რეაბილიტაციისა და კაპიტალური შეკეთების საპროექტო/სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისათვის აუცილებელი კვლევითი სამუშაოებზე.

რაც შეეხება საგზაო მოძრაობის ორგანიზების სამუშაოებს, უნდა აღინიშნოს, რომ ავტოტრანსპორტის მზარდი ნაკადების ფონზე გზებზე გამტარიანობისა და უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად პრიორიტეტული მიმართულებებია შუქნიშნების მუშაობის რეჟიმების რეგულირება, შუქნიშნის ახალი ობიექტების მონტაჟი, საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებების რეკონსტრუქცია და მიერთება მართვის ავტომატიზებულ სისტემაზე, შუქნიშნის მართვის ცენტრის ექსპლუატაცია, გზაჯვარედინების რეკონსტრუქცია და ქვეითთა გადასასვლელების მოწყობა, საგზაო ნიშნების, ბოძკინტების, ზღუდარების, ბარიერების, სფერული სარკეებისა და სხვა ტექნიკური საშუალებების მონტაჟი და

მოვლა-შენახვა, ერთკომპონენტიანი საღებავით ჰორიზონტალური, თერმოპლასტით და ცივი პლასტით საგზაო მონიშვნის სამუშაოების ჩატარება.

განხორციელდა საგზაო მონიშვნების დახაზვითი სამუშაოები, ახალი შუქნიშნის ობიექტების მონტაჟი და არსებულის მოვლა-შენახვა და ექსპლუატაცია.

თბილისში ქუჩების მასშტაბური რეაბილიტაციის კვალდაკვალ სატრანსპორტო სქემების თანამედროვე ევროპული სტანდარტებით დაპროექტება დაიწყო. პრიორიტეტულია ქვეითთა გადაადგილების კომფორტისა და უსაფრთხოების ამაღლება, ავტობუსების განცალკევებული ზოლების მოწყობა და საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის შუქნიშნებით გავლის პრიორიტეტის მინიჭება, "მწვანე ტრანსპორტის" ხელშეწყობა - ველობილიკების ზოლების გამოყოფა.

მოძრაობის ორგანიზების სქემებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს სატრანსპორტო და ქვეითთა ნაკადების გამოკვლევა.

საანგარიშო პერიოდში მოძრაობის ორგანიზების ახალი სქემები შედგა კანდელაკის, მელიქიშვილის და სარაჯიშვილის ქუჩებისათვის.

მოძრაობის უსაფრთხოების მიზნით დამონტაჟდა 18 ცალი სატრანსპორტო დეტექტორი, განხორციელდა 8 არსებული ობიექტის რეკონსტრუქცია და მართვის ცენტრთან მიერთების სამუშაოები.

ტრანსპორტის საქალაქო სამსახური შსს-ს ერთობლივი ოპერაციების ცენტრისა და მერიის სხვა სამსახურების თანამშრომლებთან ერთად მუშაობენ საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის გამოყოფილი სპეციალური ზოლებისა და სიჩქარის ვიდეო კონტროლისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის კვლევასა და დაგეგმვის საკითხებზე.

მომზადდა და შსს-ს გადაეცა სამსახურის მფლობელობაში არსებული სათვალთვალო კამერების მიერ დაფიქსირებული 33 ვიდეო ჩანაწერი სხვადასხვა სახის სამართალდარღვევის შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის მერია ფრანგული კომპანია „სისტრასგან" უახლოეს ხანებში მიიღებს მუნიციპალური ქსელის რეორგანიზაციისა და ერთიანი გადახდის სისტემის მრავალკომპონენტიან, ვადებში გაწერილ გეგმას. სქემა შემუშავებული იქნება მგზავრთა ძირითადი გადაადგილების მარშრუტების მიხედვით.

მნიშვნელოვანია, რომ აზიის განვითარების ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდება თბილისის ურბანული მობილობის გეგმის შემუშავება რაზედაც გამოყოფილია 1 900 000 აშშ დოლარი, რომლის ფარგლებშიც დადგინდება და განისაზღვრება ტრანსპორტის ყველა ასპექტი საზოგადოებრივი და კერძო ტრანსპორტი: მეტრო, ტრამვაი, ფეხმავლები, დისტრიბუცია, ველოსიპედები.

თითოეული უბნისთვის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად დადგინდება და განისაზღვრება ყველანაირი უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების ასპექტი.

ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მემორანდუმის საფუძველზე საფრანგეთის განვითარების სააგენტო დონორი ორგანიზაცია „Mobilise Your City"-ის ფინანსური მხარდაჭერით დაიწყებს პროგრამას, რომელიც თბილისის „მდგრადი ურბანული მობილობის გეგმის" იმპლემენტაციაში დაეხმარება. სამსახურში 2 წლის განმავლობაში მოვლინებული იქნება საერთაშორისო დონის ექსპერტი.

ასევე, გერმანელი ექსპერტები თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს ე.წ „ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემების" განვითარებაში დაეხმარებიან. გერმანულმა კომპანია „გოპა"-მ კვლევა გერმანიის სახელმწიფო ბანკის KFW ფინანსური მხარდაჭერით დაიწყო.

თ. ისაკაძე - მადლობა ბატონო მამუკა საინტერესო მოხსენებისთვის, გადავიდეთ კითხვა-პასუხის რეჟიმზე.

ლ. ხაბეიშვილი - მოგესალმებით, მაქვს რამოდენიმე კითხვა, მთავარი რაც მაინტერესებს, ჩანაცვლდება თუ არა სრულად ყვითელი ავტობუსები დეკემბრის ბოლოსთვის როგორც დედაქალაქის მერმა დაანონსა, ასევე, რეალურად შემცირდა თუ არა მეტროსადგურებში მოლოდინის დრო.

მ. მუმლაძე - დედაქალაქის მერია ინტენსიურად მუშაობს სწორედ იმაზე, რომ წლის ბოლომდე მოხდეს ავტოპარკის სრული განახლება, ავტობუსების მოწოდებასთან დაკავშირებით იყო გარკვეული შეფერხება, მაგრამ ეტაპობრივად აღმოიფხვრა. რაც შეეხება მეტროსადგურებს, პიკის საათებში შემცირებულია მოლოდინის დრო, მოხდა რეზერვების სრული გამოყენება და დაემატა განახლებული ვაგონები, რათა მოხდეს მეტი მგზავრის გადაყვანა.

თ. ისაკაძე - ავტოპარკის განახლება ცოცხალი პროცესია და ეტაპობრივად მიმდინარეობს.

ლ. ხაბეიშვილი - ვუბრუნდები მეტროს საკითხს, სავენტილაციო სისტემის პრობლემაზე რას გვეტყვით, ასევე, მეტროსადგურ ,,ვარკეთილში" სადაც ჭერი თავზე ჩამოენგრათ მოქალაქეებს ამ დრომდე რატომ არ არის დაწყებული რეაბილიტაცია.

მ. მუმლაძე - ვარკეთილის მეტროში ჭერის არ ქონა ხელს არ უშლის მგზავრთა ნაკადის მომსახურებას, რათქმაუნდა უნდა გაკეთდეს და უნდა იყოს ხარისხიანად შესრულებული სამუშაოები. დაწუნებული იქნა რამოდენიმე პროექტი მეტროსადგურ ,,ვარკეთილის" რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, აუცილებლად უნდა შემუშავდეს სწორი და ხარისხიანი პროექტი შესაბამისი ხარჯთაღრიცხვით. მოგეხსენებათ მეტროსადგურებში ხდება სავენტილაციო სისტემის სრული

მოწესრიგება, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, სწორედ ამის გამო ერთი საათით ნაკლები დროით ვემსახურებით მგზავრებს.

ლ. ხაბეიშვილი - რაც შეეხება ტაქსების რეფორმას, რატომ გადაწყვიტეთ, რომ ტაქსები ყოფილიყო მაინცდამაინც თეთრი ფერის, მაშინ როცა დედაქალაქში არ მოძრაობს ერთი და იმავე ფერის ავტობუსებიც კი. გასულ წელს ტაქსის ლიცენზია დაახლოებით 23 000-მა მოქალაქემ აიღო, დღევანდელი მონაცემებით კი 15 000-ია ორივე კატეგორიის გათვალისწინებით, ხომ არ სჯობდა ჯერ მეტრო და ავტობუსები მოგეწესრიგებინათ და შემდეგ შემოგეთავაზებინათ მოქალაქეებისთვის ტაქსების რეფორმა.

მ.მუმლაძე - დღეის მდგომარეობით დედაქალაქში მოძრაობს იმ რაოდენობის ტაქსი, რა რაოდენობასაც არსებული ბაზარი ითხოვს. ტაქსის მფლობელები ვალდებულები არიან წელიწადში ორჯერ გაიარონ ტექ.დათვალიერება, ვერ გავლის შემთხვევაში კი აღნიშნული მანქანები დედაქალაქში აღარ იმოძრავებენ.

ლ. ხაბეიშვილი - როგორც თქვენ ანგარიშის წარმოდგენისას აღნიშნეთ ამჟამად დედაქალაქში მოძრაობს 395 ძველი ავტობუსი, აქვთ თუ არა მათ გავლილი ტექ-დათვალიერება.

მ. მუმლაძე - ავტოპარკის სრული განახლება ერთბაშად ძალიან რთული პროცესია, ჩვენ ვაკეთებთ მაქსიმუმს ამ მიმართულებით.

ლ. ხაბეიშვილი - რას აკეთებთ იმისთვის, რომ მეტროსადგურების შესასვლელებში მყოფი მოქალაქეები, რომლებიც ფულის სანაცვლოდ გვთავაზობენ ბარათის გატარებას, აღარ იყვნენ და დედაქალაქის ბიუჯეტს ამ ქმედებით არ დააკლდეს მნიშვნელოვანი თანხა.

მ. მუმლაძე - მაქსიმალურად შევამცირეთ ამ ადამიანების რაოდენობა კონკრეტული ქმედებით, დამატებით ვმუშაობთ ამ საკითხზე საპატრულო პოლიციასთან ერთად.

ლ. ხაბეიშვილი - რას მეტყვით გადასასვლელი ხიდების დემონტაჟთან დაკავშირებით, გაქვთ თუ არა ინფორმაცია, რომ სოლიდური თანხა დაიხარჯა მათ შეკეთებაზე, რის დემონტაჟსაც ამჟამად ახორციელებთ.

მ. მუმლაძე - გადასასვლელი ხიდების საჭიროება აუცილებელია ისეთ ადგილებში, როგორიცაა კახეთის გზატკეცილი და აღმაშენებლის ხეივანი. სხვა ადგილებში მოქალაქეები ძირითადად არ სარგებლობდნენ აღნიშნული ხიდებით, დავითვალეთ მგზავრთა ნაკადები, დავამონტაჟეთ შუქნიშნები, დავხაზეთ ქვეითთა გადასასვლელები და გაუმჯობესდა არსებული სიტუაცია, ქვეითს გავუადვილეთ გადაადგილება.

ი. ნადირაძე - მე მაქვს კითხვები პარკირებასთან დაკავშირებით, გაამართლა თუ არა პარკირების ახალმა სისტემამ დედაქალაქის გარკვეულ უბნებში და ველოდოთ თუ არა ფასის გაძვირებას სასურველი შედეგის მისაღებად.

მ. მუმლაძე - პარკირების სისტემის პროექტმა გაამართლა, ჩვენი მიზანია უახლოეს პერიოდში ძველი თბილისი მოვიცვათ სრულად, თუ არ იქნება ეს ყოველივე სასურველი შედეგის მომტანი შემდეგ განვიხილავთ ფასთა ცვლილებას ზრდის მიმართულებით. ამჟამად, კოტე აფხაზის ქუჩაზე და ორბელიანის მოედანზე, სადაც უკვე ამოქმედებულია ზონალურ-საათობრივი პარკირების სისტემა, მუნიციპალური ავტობუსები მოძრაობენ სრული დატვირთვით და მგზავრთა გადაადგილების მხრივ არ არის შეფერხება.

ი. ნადირაძე - მშენებლებს, რომლებიც აშენებენ ახალ კორპუსებს მოეთხოვებათ თუ არა შექმნან ახალი საპარკინგე ადგილები, რა ხდება ამ მიმართულებით.

მ. მუმლაძე - აუცილებელია, რომ ნებისმიერი ახალი მშენებლობა შეთანხმებული იყოს ტრანსპორტის საქალაქო სამსახურთან. ჩვენი მიდგომა არის შემდეგი - დათვლილი და განსაზღვრული უნდა იყოს გამტარუნარიანი იქნება თუ არა კონკრეტული ქუჩა ავტომობილების ახალი ნაკადისთვის. ჩვენი მთავარი მიზანია მოსახლეობას შევუქმნათ ისეთი გარემო საზოგადოებრივი ტრანსპორტის მხრივ, რომ მაქსიმალურად შემცირდეს კერძო ავტომობილების რაოდენობა დედაქალაქში.

შ. ოგბაიძე - მსურს, მოკლედ შევაჯამო თუ რა გაკეთდა ჩემს სამაჟორიტარო ოლქში ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის დახმარებით და გვერდში დგომით. დაიხაზა ზებრა გადასასვლელები, მოეწყო შემაფერხებელი ბარიერები, საგზაო ნიშნები, რამოდენიმე დღეში ახალი ავტობუსები დაიწყებენ მოძრაობას კონკრეტული მიმართულებით.

მოგეხსენებათ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება ყველაზე მნიშვნელოვანია - მოვახდინეთ შავი წერტილების იდენტიფიცირება და მივიღეთ შესაბამისი ზომები, შემცირდა ავარიების რაოდენობა. ტრანსპორტის საქალაქო სამსახური ერთ-ერთი ოპერატიული და შედეგზე ორიენტირებული სამსახურია, რომელიც მუდამ ხალხის სამსახურშია.

თ. ისაკაძე - მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ მამუკას და მის გუნდს გასული 9 თვის ანგარიშის წარმოდგენისთვის და იმ საქმიანობისთვის რაც გასწიეს ამ პერიოდში, წინ ბევრი გამოწვევა გვაქვს და ჩვენი მიზანია ოპერატიულად და ხარისხიანად ვიმოქმედოთ.

კომისიამ ცნობად მიიღო მიღებული ინფორმაცია.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თედო ისაკაძე